განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამა
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
25.05.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.07.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211328703 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ |
| განათლების საფეხური | პირველი საფეხური/ბაკალავრი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი; კოდი: 0906 |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 240 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული[1] |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ბერიძე ; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახ. სასწ. უნივერსიტეტი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ელისო მურვანიძე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახ. სასწ. უნივერსიტეტი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი აბულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |

[1] 2011 წელა აკრედიტებული იყო იგივე სახელწოდების ქართულენოვანი პროგრამა, რომელიც 2018 წლის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ხორცოელდებოდა ინგლისური კომპონენტებით.

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვენი) პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი" დოკუმენტში. პროგრამა ინიცირებული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, გათვალისწინებულია პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო პარტნიორთა მოსაზრებები და რეკომენდაციები. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, პროგრამა ხორციელდება 2008 წლიდან და აკრედიტირებულია 21.10.2011წლის №125 გადაწყვეტილებით; თუმცა ჩვენს მიერ ვერ იქნა მოძიებული ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; მითითებული დოკუმენტი 21.10.2011 გადაწყვეტილება #125. ადასტურებს ქართულენოვანი პროგრამის აკრედიტაციას. აქვე აღვნიშნავთ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის №66 გადაწყვეტილებაში იკვეთება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის არსებობა, სწავლების ენა - ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტით. ამავე გადაწყვეტილებისა და თანდართულ ოქმში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ამავე დასახელების საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის განხორციელების ენა არის ქართული (უცხო ენის კომპონენტებით), თუმცა ამჯერად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინგლისურნოევანი პროგრამა. დადგენილი წესითა და პრაქტიკით, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და საფეხური ერთიდაიგივეა, მაგრამ განსხვავებულია განხორციელების ენა. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დაუშვებელია (გარდა ამ მუხლის $2^1$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). ასევე, დაუშვებელია აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან პროგრამის გაყოფა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით."2
აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, უსდ-მ დამატებით, მტკიცებულების სახით წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი (№ 11-2-20/6496; 03.06.2011), რომელის მიხედვით „... საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანახმაა სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად"; ამავე დოკუმენტიში აღნიშნულია „ ... სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნუვერსიტეტში ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო

[2] $2^1$. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

პროგრამების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელების, საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანის, საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის გაცემის უფლების დადგენის მიზნით გთხოვთ, შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინოთ სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს". წერილში მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ იქნა მოძიებული/მოწოდებული. მოცემული გარემოებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამა, ვერ იქნება განხილული როგორც აკრედიტირებული პროგრამა რეაკრედიტაციისათვის. ამდენად, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" განხილული უნდა იყოს აკრედიტაციისათვის.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს ( 1კრედიტი 30სთ), ხანგრძლივობა შეადგენს 4წელს - 8 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 9 კომპონენტიან თეორიულ-პრაქტიკულ ბლოკს, რომელიც ხორციელდება 3 ეტაპად. (პრეკლინიკური (120 ECTS კრედიტი), კლინიკური (90ECTS კრედიტი) და კონსოლიდაციის (30ECTS კრედიტი) ეტაპი); თითოეული ეტაპი მოიცავს რამდენიმე ბლოკს; დისციპლინების უმრავლესობა ისწავლება პარალელურ, თემატურად ჰარმონიზებულ /ინტეგრირებულ რეჟიმში, და, ამასთანავე, ვერტიკალურ კავშირშია მომდევნო ბლოკის დისციპლინებთან; პირველ ორ ეტაპზე მიღებული თეორიულ- კლინიკურ ცოდნას ეფუძნება მესამე ეტაპი და იძლევა მიღებული თეორიული და პრაქტიკულიცოდნის, უნარ-ჩვევბის შეჯამების, ანალიზის, თვითშეფასების და რეფლექსიის შესაძლებლობას. პროგრამაში არსებული არჩევითი საგნები (20 საგანი) იძლევა პროფესიის უფრო ღრმად შესწავლის და ცოდნის დიაპაზონის გაზრდის საშუალებას.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში, რასაც უზრუნველყოფს სწავლის ვრცლად და მკაფიოდ გაწერილი მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" ეყრდნობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპულ ჩარჩოს და მიზნად ისახავს სწავლის შედეგებზე ფოკუსირებული და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე ორიენტირებული მიდგომით, მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერ ასაკში ფუნქციისა და მოძრაობის შეზღუდვით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენციას, სარეაბილიტაციო შეფასებას, ინტერვენციას და მართვას, ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციური მოძრაობის პოტენციალის გაუმჯობესებისათვის; შეძლებს მუშაობას მულტი– და/ან ინტერდისციპლინურ გუნდში, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ პირობებში; განახორციელებს საკუთარ პრაქტიკას პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით; დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლო ფორმით მიაღწევს თავისი პრაქტიკის სრულყოფას და პროფესიულ წინსვლას.

სწავლების პერიოდში ყველა ეტაპზე სტუდენტებისათვის გაწერილია საკონსულტაციო საათები, თუმცა ინდივიდუალური, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სტუდენტებს კონსულტაციის მიღება შეუძლიათ დამატებით - ხვდებიან პედაგოგებს კონსულტაციისათვის მათთვი აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე მსჯელობა-განხილვისათვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ეფექტურ ფუნქციონირებას და შესაძლებელს გახდის დასახული მიზნების მიღწევას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიენიჭება კვალიფიკაცია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი უნივერსიტეტში შედგა 2020წლის 25 მაისს, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. განათლების ხარისხის განვითარებისეროვნული ცენტრიდან წარდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ბერიძე - თავმჯდომარე, ელისო მურვანიძე - წევრი, გიორგი აბულაძე - წევრი;

შეხვედრა გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში; ვიზიტი მიმდინარეობდა დღის წესრიგის სრული დაცვით.

განხორციელდა შეხვედრა:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან:

ვიცე-რექტორი, კანცლერის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

- თვითშეფასების ჯგუფთან: ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, აფელირებული პროფესორი, მოწვეული მასწავლებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის სტუდენტებთან;
- პროგრამის/მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- დამსაქმებლებთან.

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრა განხორციელდა ინდივიდუალურად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი, სიმულაციური სწავლების ცენტრი. ექსპერთტა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" განხორციელდება კარგი ინფრასტრუქტურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ კარგი პირობები განათლების მისაღებად. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტებმა გააცნეს პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს ძირითადი მიგნებები და მოისმინეს ჯგუფის წევრებისაგან განმარტებები. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალების ანალიზის, ინტერვიუების შედეგად ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტი დაინტერესებულია საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" მაღალ დონეზე ორგანიზება-განხორციელებაში; პროგრამაში ჩართული ძირითადი და მოწვეული პერსონალი დაინტერესებულია პროგრამის განხორციელებით და განვითარებით, მზად არიან მუდმივად განაახლონ და გააუმჯობესონ სილაბუსები. აკრედიტაციის ექსპერთა ვიზიტი იყო ნაყოფიერი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი)პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" შედგენილია თსსუს ბაკალავრის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების

მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა ეყრდნობა რეაბილიტაციი სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციის განხილვის და ინტერვიუს საფუძველზე შეფასდა პროგრამის ცალკეული სტანდარტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - მოცემული სტანდარტი შეფასდა შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტთან. პროგრამის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული და სრულად შესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს; დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასება - კომპენტენციები, კონკრეტული სასწავლო კურსის, პროგრამის სამიზნე ნიშნულები; პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.
- **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა** - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან. ცალკეული კურსი პასუხობს პროგრამაში გაწერილ მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების პროცესში.
- **სტუდენტთა მიღწევები**, **მათთან ინდივიდუალური მუშაობა** - სტუდენტებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სტუდენტები გრძნობენ მიკუთვნებულობას უნივერსიტეტთან, კმაყოფილნი არიან მათთვის შეთავაზებული სერვისებით და ადმინისტრაციის ჩართულობით სასწავლო პროცესში; მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაცია და პროფესურა მუდმივად ზრუნავს მათზე მორგებული და ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებს მათ სურვილებს, ხელს უწყობენ დასაქმებაში სტუდენტის სურვილისა და ინტერესის შესაბამისად.
- **სწავლების რესურსებით უზრუნვეკყოფა** - პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ (მათ შორის უცხოელ) პერსონალს გააჩნია სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, ასევე სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია რამდენიმე უცხოელი პროფესორი; პროგრამა უზრუნველყოფილია კარგი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით; ფაკულტეტის მატერიალ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას პროგრამის სასწავლო პროცესი და კვლევითი კომპონენტი განხორციელდეს სრულყოფილად და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტი იქმნება საგანმანათლებლო საქმიანობიდან შემოსავლებით; პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან დაფინანსება.
- **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს შიდა და გარე შეფასებას, მიღებულ შედეგებს იყენებს მიმდინარე პროგრამისათვის.

- რეკომენდაციები

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გაზრდა;
  - სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცესის შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირებულობის ხელშეწყობა;
  - სასწავლო პროცესის მონიტორინგში სილაბუსით დადგენილი მიმდინარეობის კონტროლის მეტი სისრულით ასახვა.
  - სილაბუსებში ავტორისა და განმახორციელებლების მითითება.
  - პროგრამაში ჩართული ყველა პედაგოგის (ავტორის და განმახორციელებლის) პირადი საქმის განახლება.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტაციის გარეშე; მიუხედავად ამისა, პროგრამის მნიშვნელოვანი პროგრესია სასწავლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თვითშეფასების ანგარიში, სტუდენტებთან და დამსაქმებელთან გასაუბრება) დარგის თანამედროვე მოთხოვნებისა და პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა და განვითარდა პროგრამის სტრუქტურა, შეიცვალა ქცევითი, სოციალური, ჰუმანიტარული და კლინიკური დისციპლინების ბლოკი დასწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად დაემატა ახალი ბლოკი, ახალი ძირითადი და არჩევითი საგნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის სფეროში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნას და აძლიერებს მართვის უნარ-ჩვევებს; აღნიშნული ცვლილებები იძლევა პროფესიის უფრო ღრმად შესწავლისა და ცოდნის დიაპაზონის გაზრდის საშუალებას.

სარეაბილიტაციო შეფასების გაუმჯობესების მიზნით, დაემატა დისციპლინა „კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 1&2“, ხოლო კლინიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით - დისციპლინა „პიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები“ . (ინტერვიურირების დროს სტუდენტები განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამ ორ დისციპლინასთან მიმართებაში) განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-8 სემესტრის პროგრამის სტრუქტურირება, რომლის დროსაც გათვალისწინებული/გაზიარებული იყო საერთაშორისო პრაქტიკა; სწავლის შედეგების განმტკიცებისა და კომპენტენციების კონსოლიდაციის მიზნით ისწავლება 6 კურსი : ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში, ნევროლოგიაში, ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, ბავშვთა და მოზარდთა ასაკში და გერიატრიაში. ამავე კურსებში განისაზღვრა კლინიკური პრაქტიკის განხორციელება.
ხაზგასმით აღსანიშნავია, რიგ საგნებში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ფორმატის დანერგვა, რასაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, განსაკუთრებით დადებითად აფასებენ სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის

დისციპლინების უმრავლესობა ისწავლება პარალელურ, თემატურად ინტეგრირებულ რეჟიმში და კავშირშია დაავადების ბიოლოგიურ და დიაგნოსტიკურ საფუძვლებთან, ითვალისწინებს კლინიკური უნარ-ჩვევების, მათ შორის დარგობრივი სპეციფიკის მქონე უნარების და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საბაზისო სწავლებას.
აღსანიშნავია, რომ თსსუ-ში ხორციელდება ე.წ. ზამთრის და ზაფხულის სკოლა სტაჟირებები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიარონ პრაქტიკა შესაბამისი მემორანდუმების მქონე კლინიკებში.
მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუირებით (სტუდენტები, კურსდამტავრებულები, დამსაქმებლები) იკვეთება უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კლინიკურ ბაზებთან; თითოეული მათგანი ასევე ხაზგასმით მიუთითებს კარგ უკუკავშირებზე.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით : საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ მიზანია სწავლის შედეგებზე ფოკუსირებული და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული, პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე ორიენტირებული მიდგომით მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი. რომელიც: ბიოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ნებისმიერ ასაკში ფუნქციისა და მოძრაობის შეზღუდვით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენციას, სარეაბილიტაციო შეფასებას, ინტერვენციას და მართვას, ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციური მოძრაობის პოტენციალის გაუმჯობესებისათვის სათანადო ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარების გამოყენებით, შეძლებს მუშაობას მულტი–და/ან ინტერდისციპლინურ გუნდში, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ პირობებში; ახორციელებს საკუთარ პრაქტიკას პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით; დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლო ფორმით აღწევს თავისი პრაქტიკის სრულყოფას და პროფესიულ წინსვლას.<br><br>პროგრამის მიზნების განსაზღვრისას პროგრამის ხელმძღვანელი ეყრდნობოდა, ხელმძღვანელობდა და ითვალისწინებდა თსსუ-ის მისიას, სტრატეგიულ გეგმას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებეთა მოთხოვნის ანალიზს, ემორის სამედიცინო სკოლისა და კარდიფის მეტროპოლიტან უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით მიღებულ ინფორმაციას.<br><br>პროგრამის მიზნები ნათლად არის გაწერილი, კონკრეტული, მიღწევადი და რელევანტურია. კურსდამთავრებულები შეძლებენ უზრუნველყონ ნებისმიერ ასაკში ფუნქციისა და მოძრაობის შეზღუდვით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენცია, სარეაბილიტაციო შეფასება, ინტერვენცია და მართვა, ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციური მოძრაობის პოტენციალის გაუმჯობესებისათვის სათანადო ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარების გამოყენებით, შეძლებს მუშაობას მულტი–და/ან ინტერდისციპლინურ გუნდში, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ პირობებში; |

პროგრამის მიზნები და შედეგები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დეკლარირებულ მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ითვალისწინებს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სისტემაში რეაბილიტაციის სამსახურის განვითარების და განხორციელების მაღალ მოთხოვნას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №24/10 დადგენილებით - http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0

o თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა

o ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

o ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის №24/7დადგენილებით

o ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამებისა და სკრენტონის უნივერსიტეტის ფიზიკური თერაპიის პროგრამის ერთობლივი ტელეხიდების ვებ-რესურსები

- www.tsmu.edu
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამით „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" მიღწეული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და განაპირობებს იმ ძირითადი ცოდნის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც პროგრამის მიზანშია გაწერილი; ამასთან, პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში, პირველი საფეხურისთვის (ბაკალავრი) განსაზღვრულ კრიტერიუმებს (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და ბაკალავრის კვალიფიკაციას. კერძოდ, პროფესიული კომპეტენციის თვალსაზრისით საბალკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" კურსდამთავრებულს ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფართო ცოდნა და შეეძლება დარგის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება, პაციენტის ფიზიკური გამოკვლევა, მიღებული ინფორმაციის შეფასება და კრიტიკული ინტერპრეტაცია, დაგეგმილი ინტერვენციის განხორციელება, მართვის უნარების პრაქტიკაში გამოყენება, მონაცემთა ინტეგრაცია და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, კომპენტენციის ფარგლებში შეძლებს აწარმოოს საკონსულტაციო საქმიანობა, შეეძლება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა და დაცვა, თანამშრომლობა მულტი-, ინტერდისციპლინარულ გარემოში, ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; შეუძლია სწავლისა და ცოდნის განახლება და გაუმჯობესება, ცვალებად ინფორმაციასთან ინტეგრირება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირთადი მიდგომა: პირდაპირი (კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმები - ტესტი, ქვიზი, გამოცდა, პრეზენტაცია, ქეისის ჰოლისტიკური შეფასება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება თუ სხვა სახის აქტივობები) და არაპირდაპირი მეთოდები (სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, კურსდამთავრებულების

რაოდენობა და საბოლოო შეფასება, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები, და სხვ).

პროგრამა მოიცავს 9 მრავალკომპონენტიან თეორიულ-პრაქტიკულ ბლოკს, რომელიც განხორციელდება სამ ეტაპად: პრეკლინიკური, კლინიკური და კონსოლიდაციის ეტაპები.

პროგრამის მოდულში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლება. თეორიული სწავლება მოიცავს ლექციებს, ლიტერატურის მოძიება-დამუშავება-რეფერირებას, რეფერატული მოხსენებების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში მონაწილეობას (სტუდენტები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო კონფერენციებში). პირველი ეტაპის დისციპლინების უმრავლესობა ისწავლება პარალელურ, თემატურად ინტეგრირებულ რეჟიმში და კავშირშია დაავადების ბიოლოგიურ და დიაგნოსტიკურ საფუძვლებთან, ითვალისწინებს კლინიკური უნარ-ჩვევების, მათ შორის დარგობრივი სპეციფიკის მქონე უნარების და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საბაზისო სწავლებას; კლინიკური ეტაპი მოიცავს დაავადებათა კლინიკური გამოვლინებებს, მათი მკურნალობის ძირითად მეთოდებს, კლინიკურ შეფასებას და ფუნქციური დიაგნოზის დადგენას, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის კომპეტენციის ფარგლებში, ფიზიკური თერაპიის მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ფართო სპექტრს სარეაბილიტაციო ინტერვენციის განსახორციელებლად, და პაციენტის სარეაბილიტაციო მართვის კლინიკურ პრინციპებს; კონსოლიდაციური ეტაპი იძლევა მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარ-ჩვევების შეჯამების, ანალიზის, თვითშეფასების და რეფლექსიის შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდების და პროცედურების ერთობლიობა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, მათ შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება 3 წლის პერიოდულობით და ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, განთესვის/პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის დახვეწა, მასში ცვლილებების შეტანა.
საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ სწავლის შედეგები მიღწევადია და ეთანადება დარგის სპეციფიკას და საჭიროებებს, არსებულ და პოტენციურ დამსაქმებელთა პროფესიულ მოთხოვნებს, ასევე, გათვალისწინებულია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

o პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა

o პროგრამის სილაბუსები

o თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილება

o თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“

o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

o სტუდენტების გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებში

o კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

o სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის ფორმები;

- აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება:<br><br>✓ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. (საბაკალავრო პროგრამებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება იმ პირს, რომელმაც შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები გაიარა,,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა დამეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ადმინისტრაციულირეგისტრაციის გავლისა და თსსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე.<br><br>✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. |

- ✓ საქართველოს მოქალაქეებისათვის ინგლისური ენის კოეფიციენტი 75%+1–ია.
- ✓ სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში და თსსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე. („უმაღლესი განათლების შესახებ კანონი" - მუხლი 52. პუნქტი 3)
- ✓ გასაუბრება შესაბამის კომისიასთან.

აპლიკანტებისთვის, ვინც ირიცხება ინგლისურენოვან პროგრამაზე ეროვნული გამოცდების გარეშე:

- ✓ აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს ინგლისური ენის ცოდნის ტესტი/გაიაროს გასაუბრება ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

აპლიკანტები გათავისუფლდებიან ინგლისური ენის ტესტის ჩაბარებისგან

- ✓ თუ დამთავრებული აქვთ სკოლა /კოლეჯი/ უნივერსიტეტი ინგლისურ ენაზე.
- ✓ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატის წარმოდგენისას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ"
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ნათლად და გასაგებად განისაზღვროს მოსამზადებელი ცენტრის წარმატებით დასრულება წარმოადგენს თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველს ან რაიმე პრივილეგიას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც სისტემატიზებულია „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“ სახით.

ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტაციის გარეშე.

პროგრამა ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. პროგრმაზე სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს; 1 (ECTS) კრედიტი - 30სთ. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრი. პროგრამა წარმოდგენილია 9

მრავალკომპონენტიანი თეორიულ-პრაქტიკული ბლოკით, რომელიც ხორციელდება სამ ეტაპად: პრეკლინიკური, კლინიკური და კონსოლიდაციის ეტაპი.

პრეკლინიკური ეტაპი წარმოდგენილია 5 ბლოკით, რომელიც განაწილებულია პირველ 4 სემესტრზე და არჩევით საგნებთან ერთად შეადგენს 120 (ECTS) კრედიტს. ამ ბლოკის კურსების უმრავლესობა ისწავლება პარალელურ, თემატურად ინტეგრირებულ რეჟიმში და ითვალისწინებს კლინიკური უნარ-ჩვევების და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საბაზისო სწავლებას. მეორე, კლინიკური ეტაპი შედგება სამი ბლოკისაგან (კლინიკური დისციპლინები) არჩევითი საგნების კრედიტებთან ერთად შეადგენს 90(ECTS) კრედიტს; მოიცავს დაავადებათა კლინიკური გამოვლინებების, მათი მკურნალობის ძირითადი მეთოდების შესწავლას, კლინიკურ შეფასებას და ფუნქციური დიაგნოზის დადგენას, ფიზიკურიმედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის კომპეტენციის ფარგლებში/დონეზე, ფიზიკური თერაპიის მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ფართო სპექტრს სარეაბილიტაციო ინტერვენციის განსახორციელებლად, ასევე, პაციენტის სარეაბილიტაციო მართვის კლინიკურ პრინციპებს; ფოკუსირებულია ფიზიკური რეაბილიტაციის პრაქტიკაში პაციენტის გამოკვლევისა და შეფასების საფუძვლების შესწავლაზე.

კონსოლიდაციის ეტაპი არჩევითი საგნების კრედიტებთან ერთად შეადგენს 90(ECTS) კრედიტს; მიზნად ისახავს კომპეტენციების კონსოლიდაციას და ინტეგრაციას ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ძირითადი ექვსი მიმართულების გათვალისწინებით. კურსები შეიცავს სხვადასხვა ხანგრძლივობის (ჯამში 34 დღე) კლინიკურ პრაქტიკას, რომელიც იწყება შესაბამისი კურსით გათვალისწინებული თეორიულ-პრაქტიკული კომპონენტის დამთავრებისთანავე, და იძლევა კონსოლიდაციის ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარ-ჩვევბის შეჯამების, ანალიზის, თვითშეფასების და რეფლექსიის შესაძლებლობას. კონსოლიდაციის ეტაპი სრულდება პორტფოლიოს საბოლოო შედგენით და თვისობრივი შეფასებით.

არჩევითი საგნების (20 საგანი, 16 კრედიტის შესაბამისად) შეთავაზება ხდება სწავლების ყველა ეტაპზე სტუდენტის სურვილისა და უნივერსიტეტის რესურსის გათვალისწინებით. მათი რაოდენობა და კრედიტ მოცულობა ბოლო 3 წლის განმავლობაში 2-ჯერ გაიზარდა, რაც კავშირშია სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების შედეგების ანალიზთან - მენეჯმენტის, ლიდერობის, ჯანდაცვის სამართლებრივი რეგულირების საკითხების სწავლების მეტი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, თანმიმდევრულობისა და საფეხურებრივი გაღრმავების და განმტკიცების, ზოგადი კურსებიდან სპეციალურისკენ თანმიმდევრული გადასვლის პრინციპით.

მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად.

დასკვნითი გამოცდის ფორმები საგნების მიხედვით განსხვავებულია: ზეპირი, ტესტური, კომბინირებული (ტესტი+პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდი და სხვ).

| |
|---|
| პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, შემოკლებული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე. სტუდენტს შეუძლია პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღება პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის სამსახურში. პირველი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტებთან ტარდება საორიენტაციო შეხვედრა.<br><br>პროგრამა შედგენილია თსსუს ბაკალავრიატის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცი" ინგლისურენოვანი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა<br><br>○ კურიკულუმის რუკა<br><br>○ პროგრამის სილაბუსები<br><br>○ პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია<br><br>○ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი"<br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>ინგლისურენობანი პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტაციის გარეშე. თუმცა აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ პროგრამაში „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანს საბაკალავრო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები საერთაშორისო სტანდარტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. დაიხვეწა არსებული კურსები და დაემატა რამდენიმე ძირითადი და არჩევითი საგნები, გაიზარდა კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი, დაინერგა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური |

გამოცდის (OSCE) ფორმატი, რამდენიმე ბლოკში დაინერგა კურსების პარალელურ, თემატურად ინტეგრირებულ რეჟიმში სწავლება და ითვალისწინებს კლინიკური უნარ-ჩვევების და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საბაზისო სწავლებას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის ყველა კურსის სილაბუსი შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული საბაკალავრო დონის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3, 05.01.2007 ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. თსსუ-ში მოქმედი რეგულაციით 1 ECTS-კრედიტი=30 საათს. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ისე არასაკონტაქტო

| |
|---|
| საათები, მათი მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა ადექვატურია და შეესაბამება კურსის სპეციფიკას.<br><br>საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდის გათვალისწინებით სხვადასხვაა და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.<br><br>სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია და ადეკვატურად ფასდება.<br><br>სტუდენტთა ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი კომპონენტები; ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით (0,5 ან 1 ბიჯით).<br><br>თითოეულ სილაბასუსში მითითებულია ლიტერატურა და სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებსა და კვლევებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა<br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br><br>ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ საგანში ადაპტური ფიზიკური აღზრდა განისაზღვროს წინაპირობა;<br>○ საგანი ოკუპაციური თერაპია გადატანილი იქნას ძირითადი საგნების კურსში;<br>○ სილაბუსებში მითითებული იყოს ავტორ(ებ)ი და/ან განმახორციელებელი პირი |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ პროექტებში ჩართვას. პროგრამის ძირითადი კურსრბის უმეტესობა შეიცავს ე.წ. ჩაშენებულ პრაქტიკას, ასევე ითვალისწინებს მცირე კვლევითი უნარების განმავითარებელ კომპონენტს - რეფერატი, პრეზენტაცია, კლინიკური შემთხვევის დამუშავებასკვლევის მეთოდებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგის გამოყენებით. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზისადა უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების გათვალისწინებით ძირითად სასწავლო კურსებში გაიზარდა პრაქტიკული უნარების სწავლების მოცულობა და დაიხვეწა სწავლა-სწავლების მეთოდები; მე-7 და მე-8 სემესტრებში ყველა ძირითადი კურსის ფარგლებში ხორციელდება კლინიკური პრაქტიკა. კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები დაგეგმილია და ხორციელდება თამნინდევრულად.ზამთრისა და ზაფხულის სკოლა-სტაჟირება სასუალებას აძლევს სტუდენტს დამატებით (თავისი სურვილის მიხედვით) გაიაროს პრაქტიკა თსსუ-ის და თსსუ-სთან შესაბამისი მემორანდუმის მქონე სარეაბილიტაციო კლინიკაში.<br><br>საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე პარტნიორ უნივერსიტეტებთან (სკრენტონის უნივერსიტეტი) ტელეხიდებში რეაბილიტაციის აქტუალურ საკითხებზე.<br><br>დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები სწავლის ყველა ეტაპზე ითვალისწინებს სტუდენტის მხარდაჭერას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა<br>○ პროგრამის სილაბუსები |

- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
